სადამსჯელო ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მიზანი

მარიამ გაიპარაშვილი

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის იურიდიული დახმარების მრჩეველი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

ელ. ფოსტა: mariam.gaiparashvili@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია გააანალიზოს საქართველოს მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მიზანი და ფუნქცია. გამიჯნოს მისი კომპენსატორული ბუნება სადამსჯელო და პრევენციულისაგან. ნაშრომი შედარებითსამარლებრივ ჭრილში აანალიზებს სადამსჯელო ზიანის არსს და მის კავშირს მორალურ ზიანთან.

საკვანძო სიტყვები: კომპენსაცია, შედარებითსამართლებრივი, პრევენცია

Email: info@heraldoflaw.com

THE PURPOSE OF PUNITIVE DAMAGES

Mariam Gaiparashvili

USAID Rule of Law Program, Legal Aid Adviser, invited lecturer at the Faculty of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD student at the Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Email: mariam.gaiparashvili@gmail.com

ABSTRACT

The purpose of the article is to analyze the legal purpose and function of compensation for moral damages in Georgia. To distinguish its compensatory nature from punitive and preventive. The paper analyzes the nature of punitive damages and its connection with moral damages in a comparative legal perspective.

KEYWORDS: Compensation, Comparative, Prevention

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არეგულირებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და ადამიანს შორის, მაგრამ სამოქალაქო საქმის განხილვისას მოსამართლეს, რომელიც იხილავს დელიქტების საკითხს, მოუწევს იმსჯელოს ადამიანის უფლებებზე და შეაფასოს დაპირისპირებული ინტერესები პროპორციულობის პრინციპით.[1] ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას აქვს ჰორიზონტალური ეფექტი და ის პირდაპირ შეიძლება მოქალაქეებს არ ზღუდავდეს, მაგრამ მოსამართლე, როგორც სამოსამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი, შებოჭილია ამ კონვენციით გადაწყვეტილების მიღებისას.[2]

სტატიის მიზანს წარმოადგენს აჩვენოს, თუ რა არის მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ფუნქცია და როგორ უკავშირდება ეს მიზანი პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებულ სადამსჯელო ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს.

ნაშრომის პირველი თავი მიმოიხილავს მორალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციას, ხოლო მეორე თავი ეთმობა შედარებითსამართლებრივ ანალიზს სადამსჯელო ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ბოლო თავი კი აჯამებს სტატიის მიგნებებს.

მორალური ზიანის არსი და ფუნქცია

დოქტრინალური განმარტების თანახმად, მორალური ზიანი ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილებების არსებობას ნიშნავს, რაც ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში გამოიხატება. მორალური ზიანის განცდას იწვევს ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა. ზნეობრივი ტანჯვა ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევაში გამოიხატება, როგორებიცაა: შიში, მწუხარება, მოუსვენრობა, ნეგატიური ემოციები, ინტენსიური ცრემლდენა და სხვა.[3]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, შესაძლოა, თან ახლდეს **მორალური** განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ნორმის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.[4]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციებში მორალური ზიანი შემდეგნაირადაა განმარტებული: „თავისი არსით არაქონებრივი ზიანი არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელსაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად კი არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფის გამო...შეუძლებელია ანაზღაურების მიზანი იყოს ზიანის სრული კომპენსირება... ბუნებრივია, არაქონებრივი ზიანის

1 Reimann, M., and Zimmermann, R., Eds., 2006. The Oxford Handbook of Comparative Law. OUP Oxford, გვ. 102.
2 იქვე, გვ. 102.
3 კვანტალიანი, ნ., 2014. პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 15.
4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე Nას-979-940-2014).

ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონკრეტული პირის დამოკიდებულება თავისი უფლების ხელყოფისადმი, მაგრამ ამასთან სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სხვა უფრო ობიექტური გარემოებები...მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანია მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად. მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ, მაგრამ პრევენციული ფუნქციის გადამეტებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფულადი კომპენსაციის უზომოდ გაზრდა... კომპენსაციის ოდენობა უსაშველოდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა, რის გამოც კომპენსაციის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობაც."[5]

შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებას კომპენსაციური ხასიათი აქვს და არა პრევენციული. პრევენცია, მხოლოდ დამატებითი კრიტერიუმი შეიძლება იყოს. ამ გამიჯვნას არსებითი მნიშვნელობა აქვს მორალური ზიანის ოდენობისთვის, რადგან კომპენსაცია წმინდად ეკონომიკურ ფუნქციას ემყარება და დიდი ოდენობის დაკისრების საპირწონე ერთგვარი „ჩამკეტი მექანიზმია."

ზემოთ დასახელებული განმარტების მიუხედავად, უზენაესი სასამართლო, მორალური ზიანის დაკისრებისას და ოდენობის განმარტებისას, ხშირად ეყრდნობა მორალური ზიანის პრევენციულ ბუნებას და მას არგუმენტად იყენებს.[6] მეტიც, სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ მორალურ ზიანის ანაზღაურებას აქვს სამი ფუნქცია: *„დაკმაყოფილოს დაზარალებული; ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ".*[7] ეს უკანასკნელი წინაპირობა/ფუნქცია არის სისხლისსამართლებრივი ბუნების და უახლოვდება სადამსჯელო (punitive) ზიანს. სამოქალაქო სამართალში კი მისი დანერგვა ეწინააღმდეგება კონტინენტური ევროპის და უპირველესად გერმანული სამართლის პრინციპებს.

საინტერესო განმარტება გააკეთა უზენაესმა სასამართლომ მორალური ზიანის პრევენციულ ბუნებაზე: *„მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სამა-*

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 69; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-327-309(2კ-07)).

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-253-2021).

7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1606-2019).

რთალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ. ამასთან, ანაზღაურება უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი. ფულადი კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ხელყოფის ხასიათი, მისი გავლენა პირის არამატერიალურ სიკეთეზე. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს პირის დარღვეული უფლებების ხასიათი, ამ დარღვევის ნეგატიური როლი პიროვნებაზე, ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი და ა.შ.“[8] სასამართლომ ამ განმარტებით მეტი დაბნეულობა შემოიტანა – თუ თანხის ოდენობა არ იქნება მოპასუხისთვის მტკივნეული, მაშინ როგორ ექნება მას პრევენციული/შემაკავებელი ფუნქცია?

შესაბამისად, სასამართლო არ არის თანამიმდევრული მორალური ზიანის არსისა და ფუნქციის განსაზღვრაში. ერთი განმარტებით, მორალურ ზიანს აქვს კომპენსატორული ბუნება და არა პრევენციული. ეს განმარტება ეხმიანება გერმანულ მიდგომას და მორალურ ზიანს ეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებს. სხვა განმარტებით, უზენაესი სასამართლო მორალური ზიანის ანაზღაურებაში მოიაზრებს პრევენციულ და შემაკავებელ ფაქტორს. ზემოთ დასახელებული განმარტებით, სასამართლო ეცადა დაებალანსებინა კომპენსატორული და პრევენციული ბუნება. კერძოდ, ერთი მხრივ, აღიარა ზიანის შემაკავებელი ფუნქცია, თუმცა, კომპენსაციური ბუნების უპირატესობის აღიარებით ზიანის რაოდენობა შეზღუდა, რომ არ გამოიწვიოს მოპასუხის „დასჯა“.

სასამართლოს არათანმიმდევრულობას მორალური ზიანის არსთან დაკავშირებით არ აქვს მხოლოდ თეორიული ან ფილოსოფიური მნიშვნელობა, ის პირდაპირ კავშირშია მორალური ზიანის ოდენობასთან. არსებობს ორი მკაფიოდ გამიჯნული მოდელი: (1) თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მორალური ზიანის ერთადერთი ფუნქცია არის კომპენსაცია, როგორც ეს გერმანულ სამართალშია, მან ზიანის ოდენობა უნდა გამოთვალოს ეკონომიკურად და ეცადოს კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას „არ გასცდეს“ რეალურად მიყენებულ ზიანს; (2) თუ სასამართლო აღიარებს მორალური ზიანის პრევენციულ და შემაკავებელ ბუნებას, მაშინ მას შემოაქვს სამოქალაქო სამართალში „სადამსჯელო“ ფუნქცია და უახლოვდება პრეცედენტული სამართლის ქვეყნებს.

ზემოთ განხილული განმარტებები ცხადყოფს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო მორალური ზიანის ორივე ბუნებას, მათ შორის პრევენციას, აღიარებს, თუმცა, ამავდროულად ზღუდავს ოდენობას. ამგვარი მიდგომა ვერ ასრულებს რეალურ შემაკავებელ ფუნქციას, რადგან მცირე ოდენობის ზიანი ვერ იქნება შემაკავებელი ეფექტის მქონე.

შედარებითი ანალიზი – სადამსჯელო (PUNITIVE) ზიანის ანაზღაურება

ევროპული სამართალი როგორც ეკონომიკური, ისე მორალური ზიანის განსაზღვრისას უპირატესად მხედველობაში იღებს კომპენსაციურ ხასიათს.

დელიქტური სამართლის ევროპული ჯგუფი (European Group on Tort Law) არის მეცნიერთა გაერთიანება, რომელიც დაარსდა 1992 წელს. ჯგუფი იკრიბება რეგულარულად, რომ განიხილოს სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური საკითხები,

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე Nას-1154-2018).

მსჯელობენ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე და სახავენ სამომავლო მიმართულებებს. ჯგუფმა შეიმუშავა ევროპის დელიქტური სამართლის პრინციპები (PETL: Principles of European Tort Law), რომლებიც ემსახურება ევროპაში დელიქტური სამართლის განვითარებას და ჰარმონიზაციას. დოკუმენტის შემუშავებით ჯგუფი მიზნად ისახავდა სამაგალითო კანონის შექმნას, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობდა როგორც ნაციონალური კანონმდებლობის განვითარებას, ისე საერთო ევროპული სამოქალაქო კოდექსის შექმნას. PETL-ის 10:101 მუხლი ზიანის პრევენციას ყურადღებას უთმობს, თუმცა, კომპენსაციის დატვირთვის უპირატესობას აღიარებს.

DCFR არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პრინციპებს, სანიმუშო წესებს და განმარტებებს. DCFR არის სრულყოფილი აკადემიური ტექსტი, რომელიც შეიძლება გახდეს საკანონმდებლო ცვლილებების იდეის წყარო. ეს დოკუმენტი შემუშავებულია დოქტრინაში სახელგანთქმული სამართლის სპეციალისტების მიერ, ეფუძნება მნიშვნელოვან და ფართომასშტაბიან შედარებითსამართლებრივი კვლევის შედეგებს, დამყარებულია ევროპის ყველა ქვეყნის სამართლის საუკეთესო გამოცდილებასა და მნიშვნელოვან საერთოსამართლებრივ ინსტრუმენტებზე. ამ წესების მიზანია პრობლემის საუკეთესო საკანონმდებლო გადაწყვეტის შემუშავება. DCFR-ის მუხლები (1:101-103; 2:101; 6:101; 6:301) არ ცნობს ზიანის სადამსჯელო ბუნებას სამოქალაქო სამართალში.

სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ დატვირთვაზე ქვეყნის აღქმა განსაზღვრავს სადამსჯელო ზიანისადმი სისტემის დამოკიდებულებას. კერძოდ, თუ ქვეყნის სამართლებრივი სისტემა აღიარებს კომპენსაციის პრიმატს პრევენციასთან მიმართებით, სასამართლოები არ იყენებენ სადამსჯელო ზიანს. ამ საკითხში საკმაოდ მკაცრი მიდგომა აქვს გერმანიას, რომელიც უარყოფს სადამსჯელო ზიანს.[9] ხოლო, თუ ქვეყანა სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების პრევენციულ ბუნებას აღიარებს, ის იყენებს სადამსჯელო ზიანის სახეს, მაგალითად, პრეცედენტული სამართლის ქვეყნები.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების მიერ სადამსჯელო ზიანი, როგორც ზიანის ერთ-ერთი სახე, უკუგდებულია სამართლის დარგებს შორის განსხვავების არგუმენტით. სამოქალაქო სამართლის დატვირთვაა კომპენსაცია, ხოლო სისხლის სამართლის არსი მდგომარეობს ასოციალური ქცევის დაგმობასა და აღკვეთაში. აქედან გამომდინარე, სადამსჯელო ზიანი აღიქმება სისხლის სამართლებრივი ხასიათის სანქციად, რომელიც „აჯარიმებს“ დელიქტის ჩამდენს იმაზე მეტი რაოდენობის თანხით, ვიდრე დამდგარი ზიანია. შესაბამისად, ამ მახასიათებლების გამო ზიანის სამოქალაქო სამართალში გადატანა კიდევ ერთ დიდ საფრთხეს ქმნის. სამოქალაქო სამართალში მოპასუხე არ სარგებლობს პროცესუალური დაცვის საშუალებებით, მაგალითად, დუმილის უფლების გამოყენება ან/და *in dubio pro reo.*[10] ამასთან, სადამსჯელო ზიანის გამოყენება ორმაგ სასჯელს გულისხმობს, როგორ წესი, დელიქტის ჩამდენ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება და ის ასევე „ისჯება“ სამოქალაქო წესითაც. აღნიშნული კი არაპროპორციულია, რასაც მოჰყვება დაზარალებულის გამდიდრება, რადგან ის იმაზე მეტ თანხას იღებს, ვიდრე მიადგა ზიანის სახით. შესაბამისად,

9 BGHZ 118, 312.

10 Meurkens, L. and Nordin, E., Eds., 2012. The power of punitive damages: Is Europe Missing out? Cambridge – Antwerp-Portland, გვ. 248.

კონტინენტური ევროპის ქვეყნები და მეცნიერები ეწინააღმდეგებიან სადამსჯელო ზიანს სამოქალაქო სამართალში.

მეცნიერების მოსაზრებით, სადამსჯელო ზიანი შეიცავს დისკრიმინაციის საფრთხეს – ზიანის ოდენობის განსაზღვრა სრულად სასამართლოზეა დამოკიდებული და მსხვერპლი შეიძლება დაიჩაგროს იმის მიხედვით, თუ ვინ განიხილავს მის საქმეს.[11] თუმცა, ეს ბოლო არგუმენტი ანალოგიურად მიემართება მორალურ ზიანსაც.

1. გერმანია

გერმანულ სამართალში ზიანის ანაზღაურების მთავარი მიზანი ყოველთვის კომპენსაცია იყო და ის უფრო მეტად იზიარებდა ზიანის ანაზღაურების ეკონომიკურ ფუნქციას, მათ შორის, მორალურ ზიანთან დაკავშირებით. BGB-ს 249-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მიზანია მსხვერპლისთვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რომელიც გულისხმობს იმ მოცემულობის შექმნას, რაც იქნებოდა, დელიქტის ფაქტი რომ არ დამდგარიყო. ეს პრინციპი თანამედროვე დელიქტურ სამართალში გავრცელებულია და ცნობილია *restitution in integrum* სახელით. თუმცა, გერმანიაში ბოლო ორი ათწლეულია გარკვეულ ქეისებში ზიანის ანაზღაურებისას მხედველობაში მიიღება მისი პრევენციული დატვირთვა და არა მხოლოდ კომპენსაცია. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეინიშნება არამატერიალური უფლებების დარღვევის საქმეებში.[12]

გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ჯანმრთელობის დაზიანების შეფასებისას განმარტა, რომ ზიანის კომპენსაციური ხასიათი უნდა გულისხმობდეს პირის ემოციური მდგომაროების კომპენსაციასაც.[13] თუმცა, ეს განმარტება მეცნიერებმა გააკრიტიკეს, რადგან სისხლისსამართლებრივი ელემენტის სამოქალაქო სამართალში დანერგვას წარმოადგენდა.

2. ირლანდია

ირლანდიის სამართლებრივ სისტემაში სადამსჯელო (punitive) და სამაგალითო (exemplary) ზიანი სინონიმებია.[14] სამაგალითო ზიანის, როგორც დამოუკიდებელ ფორმაზე მსჯელობა, 2000 წლებში წარიმართა საპარლამენტო კომიტეტში.[15] მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ორივე ტერმინს იყენებს, მათ შორის არსობრივი განსხვავება არ არსებობს.

სადამსჯელო/სამაგალითო ზიანი ანაზღაურდება იმ შემთხვევაში, თუ ამას სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს. კანონმდებლობა სადამსჯელო/სამაგალითო ზიანზე გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს:

- ის არ ანაზღაურდება 1961 წლამდე დამდგარ ზიანზე;
- თუ საქმეს რამდენიმე მოპასუხე ჰყავს და ერთია პასუხისმგებელი სადამსჯელო ზიანზე, დანარჩენი მოპასუხეები ამისათვის პასუხს არ აგებენ.[16]

2009 წლის დეფამაციის/ცილისწამების აქტის (Defamation Act 2009) 32-ე სექციის თანახმად, სადამსჯელო ზიანი ანაზღაურდება თუ:

11 იქვე, გვ. 249-250.
12 იქვე, გვ. 256.
13 BGHZ 18, 149; BGHZ 128, 117.
14 McIntyre v Lewis & Dolan [1991 SupremeCourt] Irish Times Law Reports (22nd April 1991).
15 Law Reform Commission, Report on Aggravated Exemplary and Restitutionary damages [LRC 60/2000].
16 Civil Liability Act 1961.

- მოპასუხის ქმედება მიზნად ისახავდა ზიანის მიყენებას;
- მოპასუხემ იცოდა, რომ განაცხადი არ შეესაბამებოდა სინამდვილეს;
- ქმედება მიზანმიმართული იყო მსხვერპლის წინააღმდეგ;
- ან მოპასუხემ არ იცოდა ფაქტის უზუსტობის თაობაზე, თუმცა, დაუდევრობის გამო არ გადაამოწმა რეალური ფაქტები.

ირლანდიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამედიცინო სფეროს კონტროლს. შესაბამისად, სისხლის გადასხმის რეგულაციები დამოუკიდებელი აქტით წესრიგდება და სამედიცინო შეცდომით მიყენებულ ზიანს დამოუკიდებელი ორგანო განიხილავს. „ცე“ ჰეპატიტის გადადების შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობას სპეციალური ტრიბუნალი განსაზღვრავს, რომელსაც მატერიალურ ზიანთან ერთად სადამსჯელო ზიანის დაკისრების უფლებამოსილებაც აქვს.[17] თუმცა, პირადი ზიანის განმხილველი კომისია, არ განიხილავს საქმეს, თუ სასამართლოში სადამსჯელო ზიანი შეიძლება გახდეს სადავო.[18]

ზემოთ დასახელებულის გარდა, სადამსჯელო ზიანზე დავის შესაძლებლობას უშვებს შემდეგი კანონები:

- საავტორო უფლებების შესახებ 2000 წლის აქტი;[19]
- მეიჯარისა და მოიჯარის შესახებ 1980 წლის აქტი;[20]
- მომხმარებელთა დაცვის შესახებ 2007 წლის აქტი;[21]
- კონკურენციის 2002 წლის აქტი;[22]
- ინდუსტრიული დიზაინის 2001 წლის აქტი;[23]
- და პოლიციის შესახებ 2005 წლის აქტი.[24]

3. ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ი ითვლება სადამსჯელო ზიანის სამშობლოდ. თუმცა, ბოლო პერიოდში სასამართლოები დაკისრებული ზიანის ოდენობების გამო შეშფოთებას გამოთქვამენ. ამის თაობაზე პირდაპირ არის აღნიშნული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში,[25] სადაც სასამართლომ აღნიშნა ნაფიცი მსაჯულებისთვის ფარგლების დადგენის საჭიროებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგებოდა მოპასუხის კონსტიტუციური უფლების დარღვევის საფრთხე.

კიდევ ერთ საქმეში[26] სასამართლომ ზიანის კონსტიტუციურობის შეფასების სამი წესი შეიმუშავა: მოპასუხის ქმედების ხუთასპექტიანი შეფასება;[27] განსხვავება პოტენციურ/რეალურად დამდგარ შედეგსა და დაკისრებულ სადამსჯელო ზიანს შორის; განსხვავება დაკისრებულ ზიანსა და იმ ზიანს შორის, რომლებიც მსგავს შემთხვევებში მოპასუხეებს დაკისრებიათ სხვა საქმეებში.

2003 წლის საქმეში სასამართლომ ზიანის ანაზღაურების ზედა ზღვარი კიდევ

17 Hepatitis C Compensation Tribunal Act 199711.
18 Personal Injuries Assessment Board Act 2003.
19 Copyright and Related Rights Act 2000.
20 Landlord and Tenant (Amendment) Act 1980.
21 Consumer Protection Act 2007.
22 Competition Act 2002.
23 Industrial Designs Act 2001.
24 Garda Síochána Act 2005.
25 Pacific Mutual Life Insurance Co. v. Haslip, 499 U.S. 1 (1991).
26 BMW of North America, Inc. v. Gore, 517 U.S. 559 (1996).
27 იქვე.

უფრო დაავიწროვა და ის პირდაპირ დაუკავშირა ფაქტობრივ/კომპენსატორულ ზიანის ოდენობას.[28]

ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას ისიც ართულებს, რომ ფედერალურ დონეზე არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რა შემთხვევებშია აკრძალული სადამსჯელო ზიანი ან რა რაოდენობით უნდა იყოს ის შემოსაზღვრული. რამდენიმე ფედერალური კანონი კონკრეტიკის გარეშე აკეთებს დაშვებას სადამსჯელო ზიანის შესახებ.[29] უზენაესი სასამართლოს მიერ ერთიანი მიდგომის დამკვიდრების მცდელობის მიუხედავად, წესები შტატების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება.[30] მაგალითად:

- კონექტიკუტში სადამსჯელო ზიანის ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია ბრალეულობის ხარისხზე.[31] ამ შტატში, როგორც წესი, სადამსჯელო ზიანი ყველაზე დაბალია, რადგან ის მას სისხლისსამართლებრივ სასჯელად არ განიხილავს და არც მოპასუხის ფინანსებით ხელმძღვანელობს.[32]
- ვირჯინიაში მხედველობაში მიიღება კომპენსაციის, ანუ რეალური ეკონომიკური ზიანის ოდენობა.[33] ამასთან დაწესებულია სადამსჯელო ზიანის ზედა ზღვარი.[34]
- ჯორჯიაში დაწესებულია სადამსჯელო ზიანის ზედა ზღვარი.[35]
- არიზონაში მხედველობაში მიიღება კომპენსაციის, ანუ რეალური ეკონომიკური ზიანის ოდენობა.[36]
- არკანზასის უზენაესმა სასამართლომ არა რაოდენობა, არამედ სადამსჯელო ზიანის ანაზღაურების წინაპირობა შეზღუდა. გადაწყვეტილების თანახმად, უნდა დადასტურდეს, რომ მოპასუხემ განზრახ განახორციელა ქმედება და მან იცოდა მოსალოდნელი შედეგების თაობაზე.[37]
- მიჩიგანში ,[38] ნებრასკაში,[39] ვაშინგტონსა[40] და პუერტო რიკოში[41] სადამსჯელო (punitive/ exemplary) ზიანის ანაზღაურება აკრძალულია.
- ალაბამას დაწესებული აქვს ზედა ზღვარი, რომელიც არ უნდა აღე-

28 State Farm Mutual Automobile Insurance Co. v. Campbell 538 U.S. 408 (2003).
29 Civil Racketeer Influenced and Corrupt Organizations Act, 18 U.S.C.A. §1961 et seq. (RICO); 1991 Civil Rights Act, 42 USCA §1981a; Title VII of the Civil Rights Act of 1964; the Americans with Disabilities Act of 1990; the federal employment section of the Rehabilitation Act of 1973.
30 Nevada (Nev. L Rev. State. § 42.005); Texas (Tex. Civ. Prac. and Rem. Code Ann. § 41.007); (Fla. Stat. L. Ann. § 768.73(1)(a)).
31 CGS § 52-568.
32 Kan. Stat. Ann. § 60.3701.
33 *Johnson v. Hugo's Skateway*, 974 F.2d 1408 (4th Cir. 1992); *Magma Copper v. Shuster*, 575 P.2d 350 (1977).
34 350,000$, Va. Code § 8.01-38-1.
35 250,000$, GA. L. Code Ann. § 51-12-5.1(g).
36 *Johnson v. Hugo's Skateway*, 974 F.2d 1408 (4th Cir. 1992); *Magma Copper v. Shuster*, 575 P.2d 350 (1977)
37 Nat'l By-Products, Inc. v. Searcy House Moving Co. – 292 Ark. 491, 731 S.W.2d 194 (1987).
38 McAuley v. Gen. Motors Corp., 457 Mich. 513, 520, 578 N.W.2d 282, 285 (Mich. 1998): *punitive sanctions may not be imposed, with a few statutory exceptions.*
39 Distinctive Printing & Packaging Co. v. Cox, 232 Neb. 846, 857, 443 N.W.2d 566, 574 (Neb. 1989).
40 Dailey v. N. Cost Life Ins. Co., 919 P.2d 589, 590 (Wash. 1996).
41 Cruz v. Molina, 788 F. Supp. 122, 128 (D.P.R. 1992).

მატებოდეს ეკონომიკური ზიანის სამმაგ ოდენობას ან $1,500,000. ეს წესი არ ვრცელდება ახლობელი ადამიანის გარდაცვალების ან ფიზიკური ზიანის განზრახ მიყენების შემთხვევებზე.[42]

- ტეხასს დაწესებული აქვს ზედა ზღვარი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ეკონომიკური ზიანის ორმაგ ოდენობას, რაც თავის მხრივ არ უნდა აღემატებოდეს $750,000.[43]
- ოჰაიოს დაწესებული აქვს ზედა ზღვარი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ეკონომიკური ზიანის ორმაგ ოდენობას.[44]
- პენსილვანია, კალიფორნია,[45] მისური[46] და ნიუ-იორკი[47] სადამსჯელო
- ზიანის ოდენობის განსაზღვრაში სრულ თავისუფლებას აძლევს სასამართლოს.
- ნიუ ჯერსის დაწესებული აქვს ზედა ზღვარი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ეკონომიკური ზიანის ხუთმაგ ოდენობას ან $350,000.[48] დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სადამსჯელო ზიანის მიზანია მოპასუხის დასჯა და სამომავლო დარღვევების პრევენცია.[49] თუმცა, ზედა ზღვრის დადგენის აუცილებლობა მოპასუხეთა ფინანსური ინტერესების დაცვას და გადაჭარბებული სასჯელის თავიდან აცილებას ემსახურება.[50]

დანართი:

ШТАТИ	ШЕЗЛУДВА (МАКСИМАЛУРИ ОДЕНОБА)	САМАРТЛЕБРИВИ ГЧАРО
ალიასკა	» $400,000 ზოგადი შეზღუდვა; » ალტერნატივა $8,000 ყოველწლიურად; » $1 მილიონი, თუ ზიანი განსაკუთრებით მძიმეა	Alaska Stat. § 09.17.010
აიდაჰო	$250,000 (იცვლება წლიური საშუალო ხელფასის მიხედვით)	Idaho Code Ann. § 6-1603(1)
იუტა	$450,000, რომელიც ვრცელდება მხოლოდ სამედიცინო შეცდომის შემთხვევებზე.	Utah Code Ann. § 78B-3-410; *Smith v. U.S.*, 356 P.3d 1249 (Utah 2015).
კოლორადო	» $468,000, ზოგადი შეზღუდვა; » განსაკუთრებულ გარემოებებში მოსამართლეს ის შეუძლია გაზარდოს $936,030-მდე.	Colo. Rev. Stat. § 13 – 21-102.5(3)(a).
მენი	» $500,000 ზოგადი შეზღუდვა; » $250,000 ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევებზე.	2018 Me. Legis. Serv. Ch. 402 (H.P. 91) (L.D. 123).
მერილენდი	$845,000, ყოველწლიურად ეს ოდენობა იზრდება $15,000-ით.	Md. Code Ann., Cts. & Jud. Proc. § 11 – 108

42 Ala. Code Ann. §6-11-21.
43 Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. §41.008.
44 Ohio Rev. Code Ann. §2315.21(D)(2)(a).
45 Cal. Civ. Code §3294.
46 ზედა ზღვარი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი უზენაესი სასამართლოს მიერ, *Lewellen v. Franklin*, 441 S.W.3d 136 (Mo. 2014).
47 N.Y. C.P.L.R. § 4545.
48 N.J. Stat. Ann. §2A:15-5.14(b).
49 Lockley v. State of New Jersey Dep't of Corr., 828 A.2d 869, 880 (N.J. 2003).
50 A Legislative Sponsor's Statement to Bill 292; Tarr v. Bob Ciasulli's Mack Auto Mall, Inc., 916 A.2d 484, 489 (N.J. Super. Ct. App. Div. 2002); Pavlova v. Mint Mgmt. Corp., 868 A.2d 322, 325 (N.J. Super. Ct. App. Div. 2005).

მისისიპი	» $1 მილიონი, ზოგადი შეზღუდვა; » $500,000 სამედიცინო შეცდომის შემთხვევებზე.	Miss. Code Ann. § 11-1-60
ნევადა	$350,000, რომელიც ვრცელდება მხოლოდ სამედიცინო შეცდომის შემთხვევებზე.	Nev. Rev. Stat. § 41A.035
ოკლაჰომა	» $350,000 ზოგადი შეზღუდვა, » თუ ქმედება იყო განზრახი და უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი, ოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.	23 Okla. Stat. Ann. § 61.2
ოჰაიო	» $250,000 » ან ეკონომიკური ზიანის სამმაგი ოდენობა არა უმეტეს $350,000	Oh. Rev. Code § 2315.18
სამხრეთ კაროლინა	შეზღუდვა არსებობს მხოლოდ სამედიცინო შეცდომის შემთხვევებზე. ოდენობა ყოველწლიურად იცვლება ინფლაციის გათვალისწინებით.	S.C. Code Ann. § 15-32-220.
ტენესი	» $750,000, რომელიც შეიძლება გაიზარდოს $1 მილიონამდე, თუ დაზარალებულს განსაკუთრებით მძიმე ზიანი მიადგა; » შეზღუდვა არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც მოპასუხე განზრახ მოქმედებდა » ან იყო არაფხიზელ მდგომარეობაში, ან ქმედება წარმოადგენს დანაშაულს.	Tenn. Code Ann. § 29-39-102
ჩრდილოეთ დაკოტა	შეზღუდვა არსებობს მხოლოდ სამედიცინო შეცდომის შემთხვევებზე. ოდენობა ყოველწლიურად იცვლება ინფლაციის გათვალისწინებით.	N.D.C.C. § 32-42-02
ჰავაი	$375,000	Bynum v. Magno, 101 P.3d 1149, 1155–57 (2004).

4. ნორვეგია

ნორვეგიაშია კლასიკური სადამსჯელო ზიანი არ არსებობს, თუმცა, კანონმდებლობაში არის ჩანაწერი, რომელიც მსგავს დატვირთვას ატარებს. ნორვეგიის კანონმდებლობაში ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი სახე (*Oppreising*) მიზნად ისახავს მსხვერპლისთვის ზიანის ანაზღაურებას მიყენებული მორალური ტანჯვისთვის.[51] ის მოიცავს სადამსჯელო ფუნქციასაც, რადგან მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართალთან. კანონით, მისი ანაზღაურება განზრახ ზიანის მიყენების შემთხვევებში ხდება და კომპენსაცია ეძლევა გარდაცვლილის მშობლებსაც.[52]

5. იტალია

იტალიაში, გერმანიის მსგავსად, ზიანის ანაზღაურების ნაწილში სისხლის და სამოქალაქო სამართალი მკაფიოდ არის გამიჯნული. პრაქტიკის თანახმად, სადამსჯელო პასუხისმგებლობა უნდა არსებობდეს სისხლის სამართალში, ხოლო სამოქალაქო სამართლის მიზანია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოძახილია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სხვა ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილება სადამსჯელო ზიანის თაობაზე არ აღსრულდა.[53]

თუმცა, იტალიის კანონმდებლობაში არსებობს ზიანის თაობაზე ჩანაწერები, რომლებიც სადამსჯელო ხასიათის მატარებელია:

51 ECtHR, *N.A. v. Norway*, no. 27473/11, 20/04/2015.
52 Damage Compensation Act 1969.
53 Civil Cassation Sect. III, decision no. 1183 of 19 January 2007.

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ჩანაწერი, რომლის თანახმად, ბოროტი განზრახვით მოქმედ მხარეს დამატებით კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას აკისრებს;[54]
- ცილისწამების საქმეებში დამატებითი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა;[55]
- საკუთრების დაზიანებისას კომპენსაციის წესი.[56]

6. დანია

სადამსჯელო ზიანის თაობაზე დანიის ადგილობრივი მმართველობის აქტში ჩანაწერი 1984 წლიდან არსებობს, შესაბამისად, ამ ზიანის გამოყენებას დიდი ისტორია აქვს.

სადამსჯელოდ თანხის გადახდის დაკისრება, როგორც ზიანის ერთ-ერთი სახე, გამოიყენება კერძო სამართალში, მაგალითად, შრომის სამართლის სფეროში სპეციალური აქტი საჯარიმო თანხის დაკისრების შესაძლებლობას ითვალისწინებს.[57]

კანონის დარღვევის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის შესახებ აქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ვალდებულნი არიან სადამსჯელო კომპენსაცია გადაიხადონ.[58]

ზემოთ განხილული ქვეყნების ანალიზიდან ცალსახაა, რომ ქვეყნები ორ ჯგუფად იყოფა:

- სადამსჯელო ზიანი დასაშვებია: ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოში; ირლანდიაში; ნორვეგიაში; დანიაში.
- სამსჯელო ზიანი არ არის დასაშვები: კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის ქვეყნებში. მათ შორის განსაკუთრებით მკაცრი აკრძალვა არსებობს იტალიასა და გერმანიაში.

ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ ზიანის ანაზღაურების სადამსჯელო ბუნებას, პრევენციის მიზნით ზიანის მაღალ ოდენობას განსაზღვრავენ. ქვეყნების მეორე ჯგუფი კი აღიარებს მხოლოდ კომპენსატორულ ფუნქციას და სადამსჯელო ბუნებას მხოლოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში ხედავს. შესაბამისად, დაკისრებული ოდენობა პირველ ჯგუფთან შედარებით მცირეა.

დასკვნა

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ყველა ქვეყანამ გარკვეულ ეტაპზე დაიწყო მორალური ზიანის თაობაზე გადაწყვეტილებების კრიტიკული ანალიზი. ისინი ყოველწლიურად სტატისტიკურ მონაცემს შეიმუშავებდნენ და აქვეყნებდნენ. ანგარიშში ასახული იყო გადაწყვეტილებები, კერძოდ, რაში გამოიხატებოდა დამდგარი ზიანი და რა იყო დაკისრებული მორალური ზიანის ოდენობა. აღნიშნულმა ხელი შეუწყო სასამართლო ხელისუფლებას, გაეანალიზებინა მორალური ზიანის ანაზღაურების ფუნქცია და მისი კავშირი სადამსჯელო ზიანთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ განმარტებები მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნის თაობაზე არათანმიმდევრულია. გადაწყვეტი-

54 Il codice di procedura civile Italiano.
55 Law no. 47/1948.
56 Decree no. 30/2005.
57 Labor Court and the Industrial Arbitration Act.
58 Local Government act, consolidated act number 885 of 29/08/2012.

ლებების ნაწილი აპელირებს მორალური ზიანის მხოლოდ კომპენსატორულ ბუნებაზე, ხოლო ნაწილი აღიარებს მის პრევენციულ დატვირთვას და ამით ქართულ საკანონმდებლო სივრცეში მორალურ ზიანს უკავშირებს პრეცედენტულ ქვენებში არსებულ ინსტიტუტს – სადამსჯელო ზიანს.

ამასთან, კანონის არსებული ჩანაწერი რომ პრაქტიკაში ბევრ ხარვეზსა და ბუნდოვანებას იწვევს, წინამდებარე კვლევით დადასტურდა. კანონი არ განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ მიზანს, რაც, თავის მხრივ, პრაქტიკაში მისი არაერთგვაროვანი განმარტების საფუძველს წარმოადგენს.

შესაბამისად, რეკომენდებულია წინამდებარე შედარებითსამართლებრივი ანალიზის საფუძველზე გაკეთებული მიგნებების კანონმდებლობასა და სასამართლოს პრაქტიკაში ასახვა, რათა მიდგომა იყოს განჭვრეტადი და თანმიმდევრული.

REFERENCES:

1. Reimann, M., and Zimmermann, R. Eds., 2006. The Oxford Handbook of Comparative Law. OUP Oxford: p. 1020. (in English)
2. Ibid, p. 1021. (in Georgian)
3. Kvantaliani, N., 2014. Patient's rights and grounds for civil liabilty of health care workers. Tbilisi: Iuristebis Samkaro, p. 153. (in Georgian)
4. The decision of the Supreme Court of Georgia, 10 September 2015 (case Nას-979-940-2014). (in Georgian)
5. Recommendations of the Supreme Court on the problematic issues of caselaw on civil cases, 2007, p. 69. The decision of the Supreme Court of Georgia, 16 may 2019 (case Nბს-327-309(2კ-07)). (in Georgian)
6. The decision of the Supreme Court of Georgia, 11 June 2021. (case Nას-253-2021). (in Georgian)
7. The decision of the Supreme Court of Georgia, 25 november 2020. (case Nას-1606-2019). (in Georgian)
8. The decision of the Supreme Court of Georgia, 18 december 2018. (case Nას-1154-2018). (in Georgian)
9. BGHZ 118, 312. (in English)
10. Meurkens, L. and Nordin, E., Eds., 2012. The power of punitive damages: Is Europe Missing out? Cambridge – Antwerp-Portland, p. 248. (in English)
11. Ibid, pp. 249-250.
12. Ibid, p. 256.
13. BGHZ 18, 149; BGHZ 128, 117. (in English)
14. McIntyre v Lewis & Dolan [1991 Supreme Court] Irish Times Law Reports (22nd April 1991). (in English)
15. Law Reform Commission, Report on Aggravated Exemplary and Restitutionary damages [LRC 60/2000]. (in English)
16. Civil Liability Act 1961. (in English)
17. Hepatitis C Compensation Tribunal Act 199711. (in English)
18. Personal Injuries Assessment Board Act 2003. (in English)
19. Copyright and Related Rights Act 2000. (in English)
20. Landlord and Tenant (Amendment) Act 1980. (in English)
21. Consumer Protection Act 2007. (in English)
22. Competition Act 2002. (in English)
23. Industrial Designs Act 2001. (in English)
24. Garda Síochána Act 2005. (in English)
25. Pacific Mutual Life Insurance Co. v. Haslip, 499 U.S. 1 (1991). (in English)
26. BMW of North America, Inc. v. Gore, 517 U.S. 559 (1996). (in English)
27. Ibid.
28. State Farm Mutual Automobile Insurance Co. v. Campbell 538 U.S. 408 (2003). (in English)
29. Civil Racketeer Influenced and Corrupt Organizations Act, 18 U.S.C.A. §1961 et seq. (RICO); 1991 Civil Rights Act, 42 USCA §1981a; Title VII of the Civil Rights Act of 1964; the Americans with Disabilities Act of 1990; the federal employment section of the Rehabilitation Act of

1973. (in English)
30. Nevada (Nev. L Rev. State. § 42.005); Texas (Tex. Civ. Prac. and Rem. Code Ann. § 41.007); (Fla. Stat. L. Ann. § 768.73(1)(a)). (in English)
31. CGS § 52-568. (in English)
32. Kan. Stat. Ann. § 60.3701. (in English)
33. *Johnson v. Hugo's Skateway,* 974 F.2d 1408 (4th Cir. 1992); *Magma Copper v. Shuster,* 575 P.2d 350 (1977). (in English)
34. 350,000$, Va. Code § 8.01-38-1. (in English)
35. 250,000$, GA. L. Code Ann. § 51-12-5.1(g). (in English)
36. *Johnson v. Hugo's Skateway,* 974 F.2d 1408 (4th Cir. 1992); *Magma Copper v. Shuster,* 575 P.2d 350 (1977). (in English)
37. Nat'l By-Products, Inc. v. Searcy House Moving Co. – 292 Ark. 491, 731 S.W.2d 194 (1987). (in English)
38. McAuley v. Gen. Motors Corp., 457 Mich. 513, 520, 578 N.W.2d 282, 285 (Mich. 1998): punitive sanctions may not be imposed, with a few statutory exceptions. (in English)
39. Distinctive Printing & Packaging Co. v. Cox, 232 Neb. 846, 857, 443 N.W.2d 566, 574 (Neb. 1989). (in English)
40. Dailey v. N. Cost Life Ins. Co., 919 P.2d 589, 590 (Wash. 1996). (in English)
41. Cruz v. Molina, 788 F. Supp. 122, 128 (D.P.R. 1992). (in English)
42. Ala. Code Ann. §6-11-21. (in English)
43. Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. §41.008. (in English)
44. Ohio Rev. Code Ann. §2315.21(D)(2)(a). (in English)
45. Cal. Civ. Code §3294. (in English)
46. Upper level has been found unconstitutional by the Constitutional Court, *Lewellen v. Franklin,* 441 S.W.3d 136 (Mo. 2014). (in English)
47. N.Y. C.P.L.R. § 4545. (in English)
48. N.J. Stat. Ann. §2A:15-5.14(b). (in English)
49. Lockley v. State of New Jersey Dep't of Corr., 828 A.2d 869, 880 (N.J. 2003). (in English)
50. A Legislative Sponsor's Statement to Bill 292; Tarr v. Bob Ciasulli's Mack Auto Mall, Inc., 916 A.2d 484, 489 (N.J. Super. Ct. App. Div. 2002); Pavlova v. Mint Mgmt. Corp., 868 A.2d 322, 325 (N.J. Super. Ct. App. Div. 2005). (in English)
51. ECtHR, *N.A. v. Norway,* no. 27473/11, 20/04/2015. (in English)
52. Damage Compensation Act 1969. (in English)
53. Civil Cassation Sect. III, decision no. 1183 of 19 January 2007. (in English)
54. Civil Procedure Code of Italy. (in Italian)
55. Law no. 47/1948. (in English)
56. Decree no. 30/2005. (in English)
57. Labor Court and the Industrial Arbitration Act. (in English)
58. Local Government act, consolidated act number 885 of 29/08/2012. (in English)

დანაშაულის მომზადების ინსტიტუტის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტთან შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ჭრილში

გიორგი გამხიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, ადვოკატი

ელ. ფოსტა: ggamkhitashvili2@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში განხილულია დაუმთავრებელი დანაშაულის პირველი სტადიის, დანაშაულის მომზადების ინსტიტუტის არსი და მისი გამოვლინების სამართლებრივი ფარგლები. ამდენად, მნიშვნელოვანია, მისი პრაქტიკული რეალიზების ზუსტი სამართლებრივი ფარგლების დადგენა, რათა, იგი, ერთი მხრივ, განვასხვავოთ სისხლისსამართლებრივი წესით არადასჯადი ქმედებისაგან, განზრახვის გამომჟღავნებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, გავავლოთ მკაფიო სამართლებრივი ზღვარი დაუმთავრებელი დანაშაულის მეორე სტადიას, დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტს შორის. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის მომზადებით იწყება განზრახვის გამომჟღავნების პრაქტიკული რეალიზების პროცესი, რომლის მიზანია უშუალოდ დანაშაულის შემადგენლობის დაწყების პროცესის, მცდელობის სტადიის, განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა. სწორედ ამ ასპექტით განსხვავდება იგი დანაშაულის მცდელობისაგან, რომლის შემთხვევაშიც უშუალოდ იწყება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის შემცველი ნიშნების განხორციელების პროცესი.

როგორც ცნობილია, ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა დასჯადად არ აცხადებს დანაშაულის მოსამზადებელ სტადიას. თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკაში აღნიშნული ქმედებები მაინც არ რჩება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა და კლასიკური მოსამზადებელი საქმიანობები, დანაშაულის მცდელობის განვრცობითი განმარტების საფუძველზე, კვალიფიცირდება დანაშაულის მცდელობად. ამდენად, ამ ასპექტში ასევე განხილულია ჩვეულებრივი მოსამზადებელი საქმიანობისა და დანაშაულის მცდელობის ფაქტობრივი ურთიერთმიმართების პრაქტიკული საკითხები.

საკვანძო სიტყვები: განზრახვა, გამომჟღავნება, დაგეგმვა

SOME PROBLEMATIC ISSUES OF CRIME PREPARATION IN COMPARISON WITH ATTEMPTED CRIME – IN TERMS OF COMPARATIVE ANALYSIS

Giorgi Gamkhitashvili

PhD student at the Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited lecturer Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Attorney

Email: ggamkhitashvili2@gmail.com

ABSTRACT

This article discusses the essence of the first stage of uncompleted crime, the institution of crime preparation and the legal scope of its manifestation. Thus, it is important to determine the exact legal scope of its practical implementation, on the one hand, in order to distinguish it from actions not punishable by law and disclosure of intent and, on the other hand, to draw a clear legal boundary with the second stage of an unaccomplished crime – the criminal attempt. In this regard, it should be noted that the preparation of the crime is the basis of the process of the practical realization of the intention, the purpose of which is to create the appropriate conditions directly to carry out the process of initiation of the elements of the crime, the stage of the attempt. It is in this aspect that it differs from the attempt of the crime, in which case the process of realizing the elements of actus reus of the crime begins directly.

As is known, the criminal legislation of all countries does not declare the preparation stage of the crime as punishable. However, in the practice of some countries, the abovementioned actions still do not remain beyond the scope of criminal liability, and classic preparatory activities, based on the extensive definition of the attempt of crime are classified as attempted crimes. Thus, practical issues of the actual interrelationship between ordinary preparatory activities and attempted crimes are also discussed in this aspect.

KEYWORDS: Intention, Reveal, Planning